# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №426

## 2022 წლის 17 აგვისტო

## ქ. თბილისი

## „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №510 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/12/2017, 300160070.10.003.020230) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „$1^1$“ პუნქტით გათვალისწინებულ სპორტული დანიშნულების ავტომობილზე.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ნოემბრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**